თეატრი

საეროველ-კვირაო ლიტერატურული და მსატვრობითი გაზეთი.

9 თებერვალს | გამოცემა № 6 | კვირაობით | 1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-სა წლით სუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი შაური. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში ძმ. ჯიღაქეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

ამ ნომერთან ხელის-მომწერლებს ეგზავნებათ თავ. გიორგი ერისთავის სურათი.

საეროველ-კვირაო ლიტერატურული და მსატვრობითი გაზეთი

„თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი მეორე)

პროგრამა და სიერცე გაზეთი, „თეატრი“-სა იგივე დარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, **კვირაობით**

ფასი „თეატრი“-სა: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის ღირს სუთი (5) მანეთი, ნახევარის წლით—სამი (3) მანეთი. **სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.**

მომავალ 1886 წლიდამ აპაკი წერეთელი დამოუკიდებელ მოანწილეობას მიიღებს.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

ქართული თეატრი

კვირას, 9 თებერვალს

ბენეფისი

ვ. ს. ალექსეევ-მესხიევისა

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

დამნაშავის ოჯახი

დრამა 5-ს მოქმედ. თხზ. ჯიოკომეტისა თარგ. ი. ჯაჯანაშვილისა.

აგლაბრის დიოდენი

ეოდეევილი 1-ს მოქმედებად გად. კ. ნასიძისა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

ქართული თეატრი

კვირას 2-ს თებერვალს ქართულმა დასმა წარმოადგინა ‹პარიკელი ბიჭი› კომედია 2-ს მოქმედებად, გადმოთ. ჯორჯაძისა და დ. მრისთავისაგან და ‹სადავო მფლობელობა› კომედია 3-ს მოქმედე-

ბათ გადმოკეთებული დ. ერისთავისაგან. კომედიას „პარიჟელს ბიჭს“, რომ თვალი გადავავლოთ, დავინახავთ, რომ ის დედა აზრი, რომლის ჩვენებაც ავტორს უნდოდა საერთო კაცობრიული მოვლენაა დახატული, რომელსაც არც ერთი ეროვნება ვერ ასცდენია; რომელ ხალხსნობას აიღებთ, რომ იმისთანა საზოგადოება არ იპოვნოთ როგორათაც ამედეია, რომლის ცხოვრების უმთავრეს საგანს გარყვნილი ენებათა ღელვა შეადგენს და ყოველივე თავის კაცობრიულს ღირსებას ამ საგანსა სწირავს; იმის სიტკბოების მსხვერპლი ხდებიან ვინ იცის რამდენი დაბალი წოდების ოჯახობა, რომელთაც ცხოვრებაში ყველაფერი იმედი დაუკარგავთ, გარდა სვინიდისის და პატიოსნებისა, რომლის იმედიც ასაზრდოვებს იმათ მომავალის არსებობისათვის. ავტორი ამ კომედიის საშუალებით ჩვენ გვაცნობს ორს სხვა-და-სხვა წოდების საზოგადოებას, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ ერთმანეთთან. მსე იგი, არისტოკრატიულს და დემოკრატიულს საზოგადოებას, თუმც შემთხვევით ამათ შორის იბადება ნათესაური კავშირი, მაგრამ ჩვენის აზრით აქ ავტორი სინამდვილეს შორდება, რადგანაც ის კაცი, როგორიც ამედეია, რომელსაც ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ეს გარყვნილი გრძნობა აგრე მალე ვერ მოიტეხინებდა უწინდებურს მიმართულებას, რომელიც მამას უცხადებს, რომ დამნაშავე ვარ და ეხლა სრულიად გამოვიცვალეო, ამედეი ეკუთვნის არისტოკრატიულს საზოგადოებას და როგორც ყველა იმის მწევრთ მაგვარ მიმართულების ცხოვრების კანონზეა აღზრდილი და იმის ცხოვრების გამოცელა, გადახალისება აღარას გზით აღარ შეიძლება. როგორც ანდაზა ამბობს: „ძუზიანს საფლავის მეტი ვერა გაასწორებს რაო“. მაგრამ ბ. ავტორი კი ორის სიტყვით გარყვნილს კაცს, პატიოსან კაცათა ხდის. რაიცა ჭოზეფს შეეხება ამ ცოცხალს და ნამდვილს ტიპს, ამ გვარ ყმაწვილ კაცებს თქვენ უმეტეს ნაწილათ ევროპაში შეხვდებით, რომელნიც სხვა-და-სხვა ქარხნებში და ზავოდებში მუშაობენ; ჭოზეფი მანამ ჭკუაზედ მოვიდოდეს და თავის შინაგანს გარემოებას და მომავალს გაიგებდეს, მანამ იმისთვის სულ ერთია თუნდ დედა-მიწა გადაბრუნდეს, მაგრამ, როდესაც ხედავს, რომ იმას თავზედ აწევს მშობლიური მოვალეობა, რომელიც უნდა გაუძღვეს თავის ოჯახს წინ და არჩინოს, მაშინ ხელსა ჰკიდებს და სწორეთ, რომ საქმეც რიგიანათ მოჰყავს და თავის ცელქობა საშუალებას აძლევს თავის და გაბედნიეროს და ისეცა ხდება. როდესაც ის იგებს ამედეის ბიწიერებას, მხოლოდ მაშინ ფიქრდება და იღვიძებს, რომელიც თავის წარსულს ანცობას და ცელქობას თვითონვე დასცინის. ეს ტიპი მეტად ნათლად და რეალურათ არის დახატული, რომელსაც მშვენიერი სცენიკური ხელოვნება აგვირგვინებს, ყველა ამას, რომ ზედ დაუმატოთ მ. საფაროვი-აბაშიძის ხელოვნური თამაშობა, ერთი სიტყვით სრულს ჰარმონიას წარმოადგენს, რომლის ცქერითაც მაცქერალი ვერას გზით გულს ვერ ისრულებს.

ღენერალი მარენი (ა. მოხვევ) იმ ტიუთაგანია, რომელსაც თავის წუთისოფელი მოუჭამია და მხოლოდ კუნძივით ღა გორავობს თავის სავარძელზედ, თუმც კიდევ დარჩენია კეთილის ნაპერწკალი, რომელსაც პატარა ჭოზეფთან იჩენს და იმისი უბედური მდგომარეობა სიბრალულს აგრძნობინებს და ღვიძლს შვილს სახლიდგანა სდევნის, მაგრამ ა. მოხვევმ რიგიანათ ვერ გვიჩვენა ის კრიტიკული მდგომარეობა ღენარლისა, რომელშიაც ის არის, ესე იგი, ერთსა და იმავე დროს ორი კითხვა იცავს ამ პირს, სიბრალილი გაუპატიურებული ქალისა და შვილის სიყვარული, რომელზედაც უარის ყოფას აპირობს; ამ ორი გრძნობის ბეჭედი სრულიად არ ესო ბ. მსახიობს მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ა. მოხვევ ამ გვარ მოხუცებულების როლებს უფრო განსხვავებით კარგა თამაშობს და ურიგო არ იქნება თავი დაანებოს მოარშიყე კაცების როლის თამაშობას, რადგანაც სრული სისუსტე ეტყობა და არ უხდება იმის გარეგანს შეხედულობას.

არ შეგვიძლიან არ მოვაგონოთ ქ. ანდრონიკაშვილისას ორი გარემოება, რომელიც სენათ გარდაექცა: თუ ერთი ტირილი დაიწყო ბოლო აღარ აქვს და როგორათაც გაჭირვეულებული მგლოვიარე ისე სტირის. ან კიდევ ის თუ სუფლიორმა ბუტკიდგან არ დაუძახა არ იცის როდის უნდა გავიდეს და ან საით, საკურველია ღმერთმანი, არ ვიცი რაზედა ფიქრობენ, იმ დროს როდესაც სცენაზედ თამაშობენ?..

ნ. საბუელმა რიგიანათ ითამაშა მოხუცი ბიზოს როლი, რომელსაც ისე ეშინიან ჭოზეფისა, როგორათაც ჰერკულესისა, მაგრამ მაინცა და მაინც ნამდვილი ტიპია ამ კომედიაში და სინამდვილეს მოკლებული არ არის.

მეორე წარმოადგინეს «სადაო მფლობელობა». სწორე გითხრათ ეს ვერაფერი საქციელია ქართული ტრუპისაგან, არ ვიცი როლების სწავლა ეზარებათ, თუ რა არის, რომ ორჯელ და სამჯერა სდგამენ ამ გვარ პიესებს, რომელ ღირსებას ხედავენ ამ ბედრანგს პიესაში რომ მალი-მალ იმის აფიშებს გამოჰ-

კიდებენ. მართლაცა რას წარმოადგენს ეს პიესა, ან რა აზრია გაყვანილი. ის რის ჩვენებაც ავტორს თავის გადმომკეთებლით უნდათ — სამი ათასჯერ არის გამომცხვარი. სწორე გითხრათ გააჭირა საქმე ამ სიყვარულზედ ლაპარაკმა; საითაც არ შეიხედავ ამთვირული მოდის და სიყვარულის ისრით არის დაკოდილი. თვითონ პიესაც სცენიკურს ხელოვნებას სრულიად მოკლებულია და მეტად ზანტი ტიპებია დახატული, გარდა ნინოსი (საფაროვი-აბაშიძისა) და ჭორიკანიძისა (ვ. აბაშიძე) რომელნიც აცოცხლებენ სცენას, მხოლო რაიცა დანარჩენებს შეეხება სრულიად სინამდვილეს მოკლებულნი არიან.

ურიგო არ იქნება ჩვენმა ტრუპამ მაგგვარი პიესები არხივში გარდასცეს, რომ არხივარიუსმა მომავალთ გააცნოს ჩვენი აწმყო ლატაკი დრამატიული თხზულებანი. რაიცა კომედიაში მოთამაშეთ შეეხება ყველამ სვინიდისიანათ შეასრულა თავის როლები, განსაკუთრებით საფაროვი-აბაშიძისამ, ვ. აბაშიძემ და ა. მოხვევემ. მაგრამ რა ქნას კარგმა მონარდემან, თუ დროს შაში არ მოუა. სწორეთ ასეა ამ პიესის და მსახიობთა საქმე.

ი. ჯაფოელი.

სომხური თეატრი

თბილისის საზოგადოებას ეწვია, სომხის გამოჩენილი არტისტი ბ. ადამიანცი, რომელმაც სამშაბათს პირველი წარმოდგენა გამართა და ა. დიუმას დრამა ‹ქინი› ითამაშა. თუმცა ანდაზათ არის ნათქვამი ‹როგორცა ჰქუხს ისე არა წვიმსო›, მაგრამ ბ. ადამიანმა დაამტკიცა რომ ქუხილს თავისავე შესაფერი ავდარი მოსდევს, ისეთი ხელოვნება და ნიჭი გამოიჩინა ამ საღამოს, რომ არც ერთს რუსეთის გამოჩენილს არტისტს თავს არ მოუხრის და უეჭველია უპირველესობის დაფნის გვირგვინს ბ. ადამიანცი დაიმსახურებს. ისე ნათლად და რეალურათ დახატა გენიოსი არტისტი ქინის ხასიათი, რომ კაცი იოტის ოდენა ეჭვს ვერ შეიტანდა იმის თამაშობაში. რომელ თეატრალურს ხელოვნების კანონს აიღებთ, რომ იმან არ დაიცვა? — ნაზი მელოდიური ხმა, კანონიერი დიქცია, გრაციოზნული ჟესტიკულიაცია და ყოველივე ამას რომ იმის მშვენიერი გარეგანი შეხედულება დაუმატოთ, ერთი სიტყვით ყოველივე ესენი მშვენიერს და ნეტარ ჰარმონიას წარმოადგენდა, რომლის ცქერით და სმენით პუბლიკა ცქერის წყურვილს ვერ იკლავდა.

ბ. ადამიანცს ისე შეუსწავლია თეატრალური ხელოვნება, რომ სრულს უწინარესობამდის მისულა და შეგვიძლიან დაუყოყმებრივ ვსთქვათ, რომ ეს არის სკოლა, სადაც შეუძლიანთ ხელოვნების მოყვარეთ იმისაგან შეისწავლონ. ბ. ადამიანცის თამაშობის დროს მაცქერალს სრულიად ავიწყდება თავის თავი და იმ პირის მდგომარეობით იმყვალება, რომელსაც ის თამაშობს და სული ჩვეულებისამებრ მდგომარეობაზედ უფრო მაღლდება და რაღაცა ზეციურის ჰარმონიის მელოდიებში დასცურავს, რომლის გრძნობა თავის დღეში არ მოგეწყინება. მხოლო რაიცა დანარჩენ არტისტებს შეეხება, არას ვიტყვით, რადგანაც მხოლოდ უშლიდენ ბ. ადამიანცის თამაშობას, თორემ შველით კი არას შველოდნენ. არ შეგვიძლიან არ მოვაგონოთ ქალ. არტისტკებს, სად უნახავთ გრაფინია ძიძის კაბით ჩაცმული? ამ წარმოდგენაზედ თეატრი საესე არ იყო და სწორე გითხრათ ეს ვერაფერი საქციელია სომეხი საზოგადოებისაგან! ნუ თუ ცნობ მოყვარეობაც არის არ აღეძრათ, ენახათ თავიანთი ნიჭიერი არტისტი, მითუფრო, რომ მოკლე ხნით აპიროობს თბილისში დარჩენას.

თ. გიორგი ერისთავის სურათზედ.

თ. ბ. ერისთავი დაიბადა 1811 წელს. მამა მისი, დავით, ქართლის მებატონე იყო, უფროსი წილობა ქსნის ერისთავიანთ ოჯახისა, რომელიც უწინდელს დროში იქნებოდა საერისთაოს გამგეთ. ეს ნიჭიერი მგოსანი იმ დროების ეპოქაში დაიბადა, როდესაც სრულიად მიმქრალი იყო ქართული ლიტერატურა და საზოგადოება დაშორებული იყო გონებითი განვითარებას. აი, ამ აოხრებულს სალიტერატურო ასპარეზზედ გამოვიდა ნიჭიერი მგოსანი მარტოთ-მარტო და დაიწყო ხალხის უმეცრებასთან ბრძოლა; იმა დრომდე, ვიდრემდის მტლათ არ დადო თავის მსოფლიური ცხოვრება საზოგადო ხალხის ბედნიერებას.

დიახ, სვინიდისიანათ იშრომა თავის ასპარეზზედ და კიდეც დაატყო თავის ნიშანი, რომელსაც არასოდეს არ დაივიწყებს ქართველი საზოგადოება; რამდენი მოღვაწეობა მოუნდებოდა განსვენებულს მგოსანს მთელი საქართველოს საზოგადოების და თვითეულის პირის გაცნობა, რომელნიც ისე ნათლად და რეალურათ აქვს დახატული თავის დრამა-

ტიულს თხზულებაში. იმან სრულიად ნათლად გაიცნო თავის თანამედროვე მემამულეთ მდგომარეობა, ხასიათი, ნაკლოვანება და მიმართულება. სწორეთ რომ დიდი ნაბიჯია და მხოლოდ ბუნებისგან უხვათ დაჯილდოვებულთ მწერალთ შეუძლიანთ ამ მაღალ განვითარებულს წერტილამდის მისვლა. მხოლოდ დიდს მწერალს შეუძლიან ადამიანის გულის გახსნა, რომლის სულის სიღრმეებიდგანაც იმის შინაგანს და გარეგანს, სულის და ხორცის მდგომარეობასა ეკითხულობთ, როგორც ერთი მეცნიერი ამბობს: „узнать человѣка это все равно, что въ жизни сдѣлать одинъ гигантскій шагъ.“

ამის გარდა თ. ბ. ერისთავმა ისეთი ძეგლი დასტოვა, რომ სრულიად საკმარისია, საზოგადოებამ ის ადიდოს და პატივი სცენ უკუნისამდე. ამან დაარსა თეატრი, ეს დიდი და მაღალ მნიშვნელოვანი ადგილი, სადაც კაცი ასწორებს თავის ზნეს და ცუდ მიდრეკილებას; პირველად იმან მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და აღადგინა კიდეც, რომლის წყალობითაც დღესაც ვსარგებლობთ და ბევრი დრამატიული მწერალიც დაგვიბადა, როგორათაც თვითონ განსვენებულის შვილია ავტორი დრამ. „სამშობლოსი“ და სხვა კიდევ ბევრი.

იმის ნიჭიერს კალამს შემდეგი დრამატიული თხზულებანი ეკუთვნიან; შემდეგი კომედიები: „ბაყრა“, „ძუნწი“, „უჩინ მაჩინის ქუდი“; „თილისმის ხანი“, „ყვარ-ყვარე ათაბაგი“ დრამა და „თევზის კანტორა“ სურათები. ყველა ეს კომედიები მეტად ხელოვნურათ და რეალურათ არიან დაწერილნი, რომელნიც სხვა-და-სხვა ხასიათის სფერის საზოგადოებას გვაცნობენ.

თ. გიორგი ერისთავი გარდაიცვალა ქ. ბორს, 9 სეპტემბერს, 1864 წ. და დასაფლავებული არის სოფ. იკორთს.

ფელეტონი

***

ბუსუს მეგობარი, თუ არა,
ბაბ მკითხველო მითხარი?
რომ შენს შავ ბედში ისიცა,
შენსავით იყოს მწუხარი.

—

შენს ცრემლებს თვისის ნუგეშით,
წამწამებზედ შეაყენებდეს,
და შენს სანაცვლოდ სასჯელსა,
თვის თავს არ მიაყენებდეს.

—

თავი საფრხეში გაბამს,
შენთანა სწიოს უღელი;
გულში შენ ჭყავდ სატანა,
თან სდევდეს შენი სასელი.

—

ეს არის წრფელი კაეშირი,
ნამდვილი სიყვარულისა;
ეს არის სწორე იმედი.
ბედისგან დაჩაგრულისა.

კნ. ნინო ორბელიანისა.

დევეგის ძოწეული

(მოიულური)

ღამით ცა ჭექუსდა, გრგვინავდა,
მთებს ძოედრიკათ თავიო;
ტყეს გასდიოდა ფოთოლი,
ზღვა ბობოქრობს შავიო.
დეგებსა აქვის ქორწილი
დიდი დარბაზი ზრიალებს;
მეტ დამბატიუეს, შეეედი
რა მქისე სუნი ტრიალებს?
სამ-ბირად ტეტსლი დაენთოთ,
ზედ სამი ქვაბი შსიოდა
სტუმრების წინა ხონჩებზედ
კაცის თავ-ფესი დიოდა.
უკვინს ეურეშიითა
ეენესის სმა გამოდიოდა:
„ძმის ხორცი როგორა ვსჭამო“
ემა ვინმე გამოჭიოდა.
უსმელ-უჭმელად გავსძესი,
ეელშიაც ამოვდიოდა.

კაკა-ფშაველი.

ზამთარი

ძარი ზუზუნებს ქარი ღრიალებს
მრისხანობს თავზე ხელ-აღებული.



თ. გიორგი ერისთავი.

მდელოს, მინდვრებსა, ტყეს და მდინარეს
ბარდახურია თეთრი ბუმბული.

—

აღარსით ისმის ფოთოლთ შხრიალი,
ნელი ნიავით გაღვიძებული;
არცალა ჩიტთა ნაზი ცქრიალი,
ღეთაების ძალით გარე მოცული.

—

ველარსად ეხედავ კოკობს ვარდისას,
რაღაც სიფრთხილით ცვარით დანამულს.
ველარც მის მგოსანს, გამქრობს დარდისას,
ნაზ მოარშიყეს, გრძნობიერ ბულ-ბულს.

—

მიდამო სთვლემავს არა რა იძვრის
ირგვლივ ყველაფერს ჩასძინებია.
მდებარეობა მთლად არე მარის
ჯოჯოხეთურს ძალს დამონებია.

—

მე აღარა მწამს. ვიცნობ ჩემს ბედსა.
აღარას ელის ეს მკვდარი გული.
შენ ნუ დაკარგავ, სატრფოვ, იმედსა;
შენ მაინც ნახე კელავ გაზაფხული!

რ. ბ ი ს უ ბ ნ ე ლ ი.

ახალი ემილი

(ორელენ ბოლისა)

„მე ერცლათ არ მოგითხრობთ იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კარგ აღზრდას,—სთქვა ჟან-ჟაკ რუსსომ.—მგრეთვე მე არა შსურს დაგიმტკიცოთ, რომ ეხლანდელი აღზრდის საქმე ცუდათ მიმდინარეობს. ამაზედ ათას ჯერ თქმულა ჩემზედ უფრო ადრე. მე მხოლოდ იმას შევნიშნავ, რომ დიდი ხანია მოისმის საჩივრები თანამედროვე აღზრდაზე და ვერავინ ჰბედავს კი წარმოადგინოს საუკეთესო მოსაზრებანი ამ საგნის შესახებ.

ამავე აზრისა იყო ბ. დე-ბონეპანსი, რომელსაც თავის დღეშიაც არ წაეკითხა ემილი, და რომელსაც ეგონა, რომ ამ წიგნის ავტორი იყო იმ მიწის პატრონი, სადაც ფოჩტის შენობა იდგა.

ბონეპანსმა მემკვიდრეობით მიიღო ერთი მილიონი ფრანკი.

მარჯვე, როგორც ჩარჩი; ხარბი, როგორც ნემეცური ურია, იმან დაიწყო საქმეები ნეგოციანტის ხერხიანობით და მეძებრის ყნოსვით. ორმოცდა-რვა წლისა იყო, როდესაც იმას თორმეტი მილიონი ჰქონდა. აქამდისინ ის ზრუნავდა მხოლოდ იმაზედ, რომ ეცხოვრა სიამოვნებით, კარგ ნივთში ოცტა ფული მიეცა, არაფერი დაეკლო თავისთვის, ჰყოლოდა ბევრი ქალები, ფული კი ოცტა დაეხარჯა; არ მიეცა ოცი მანათი იმაში, რის შოვნაც ცხრამეტ მანათ ნახევრათ შეიძლებოდა; არ გადასულიყო იმ წრეს, რომლიდამაც იწყობა ავადმყოფობა. ამ გვარნი იყვნენ მის ცხოვრების კანონები.

უცბათ იმას თავში მოუვიდა აზრი, რომ ადრე თუ გვიან მოვა ის განკითხვის საათი, როდესაც უნდა გამომშვიდებებოდა თავის ფულებს და ყოველ ქვეყნიურ სიკეთეს და გამგზავრებულიყო იქითკენ, საითაც ფეხით არავინ მიდის. სიკვდილზე ფიქრისგან ტანში ჟრიანტელი უელიდა; მაგრამ ყველაზედ საშინლად ის სტანჯავდა მას, რომ ამოდენა ქონება შეიძლებოდა დაფანტულიყო სხვა-და-სხვა მხარეებში, ჩავარდნილიყო ნათესავების ხელში, რომ მომკვდარიყო მისი ერთათ ერთი შვილი ემილი. თავის სიცოცხლეში ეს პირველათ ჩაფიქრდა თავის შვილზედ, რომელსაც აქამდინ კვირაში ერთხელ ძლივსა ხედავდა. ბონეპანსის ცოლს ძალიან გაუკვირდა, როდესაც ქმარმა გამოუცხადა, რომ შვილს პური მათთან ერთად უნდა ეჭამა. ოცდა-შვიდი წლის ცოლ-ქრმობაში, საწყალ ქალს ორმოცი ღამე არ გაუტარებია თავის ქმართან. ცოლმა ქორწინის მეორე დღესვე შეიტყო, რომ იმის ქმარს იმდენი საყვარლები ჰყავს, რამდენი დღეც არის კვირაში. ბონეპანს ქალები უყვარდა, მაგრამ იმისთანეებს კი ერიდებოდ,, რომლებიც ძვირათ უჯდებოდენ. ახალ-გაზდა ცოლმა პირველ ხანებში ბევრი იტირა, მაგრამ ბოლოს უფრო სასარგებლოთ დაინახა ლაზათიანათ გასუქებულიყო. ოცდა-ათი წლისა იყო ის, როდესაც წონით თერთმეტი ფუთი და ცხრა გირვანქა გამოდიოდა. რაც უნდა ეთქვათ იმისთვის, იმას ყველასთვის ერთი პასუხი ჰქონდა: „ჩემთვის სულ ერთია“. ქორწინების მეორე წელიწადს იმას გაუჩნდა ქალი, რომელიც თერთმეტი წლისა მოუკვდა. მამამ ამისთვის ძალიან არ იწუხა, იმ მოსაზრებით, რომ ერთხელ როდისმე ეს პატარა ანგელოზი სამას ან ოთხას ათასს თუმანს მოაქექინებდა. ემილი ქვეყანაზედ შემთხვევით გაჩნდა. ბონეპანსი ერთხელ ლაზათიანათ დაითრო და მოსანელებლად ერთ ნაცნობ ქერა თმიან ქალთან წავიდა; ის შინ არ დაუხვდა, ის ეცა მეორეს, ეს უკანასკნელი თავისმა კუჩერმა გააცნო. იმასაც ვიღაც ჰყვანდა. ბონეპანსი დაბრუნდა შინ ღვინისაგან აღელვებული, მოაგონდა ცოლი და შეეიდა იმასთან.

ცხრა თვის შემდეგ დაიბადა ემილი.

ბავშვი ხუთი წლისა იქნებოდა როდესაც მამამ მოინდომა, მშობლიურის ზრუნვით დაეწყო მისი აღზრდა. ბავშვი იყო ქერა, ჯანმრთელი და საკმარისათ ლამაზი.

— იცი,—უთხრა მამამ შვილს, და თავის სიცოცხლეში პირველათ აკოცა,—იცი, რომ შენ, ერთ დროს ბევრი მილიონები გექნება?

— არა მამა.

— იცი კი, რა არის მილიონი?

— არა, მამა.

— მილიონი—ეგ არის ბევრი, ძალიან ბევრი ფული. დაიხსომებ ამას?

— ჰო, მამა.

— ხალხი რას შვრება, როცა ბევრი ფული აქვს?

— მხიარულობს, ყიდულობს ეტლებს, (ეკიპაჟი) ცხენებს, აქვს კარგი აგარა; მისდის ბევრი სტუმრები.

— ჰა, ჰა, ჰა.—გააწყვეტინა მამამ.—მოითმინეთ, ჩემო მეგობარო, ვისაც ბევრი ფული აქვს, ის ყოვლის უწინარეს ცდილობს, რომ უფრო მოუმატოს ამ ფულს. მე შენ გასწავლი ეს როგორც უნდა.

ამ დღიდამ დაიწყო ბონეპანსმა თავისი შვილის წრთვნა; მშობლის მეცადინეობა მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ შვილი თავის მგზავსი გამოეყვანა. იმას გატაცებით უყვარდა თავის ქონების მომავალი მცველი და გამმრავლებული და მილიონებს კი არა სტოვებდა შვილისთვის, არამედ შვილსა სტოვებდა მილიონებისთვის.

სწავლის პროგრამაში არ ეწერა არც ლათინური, არც ბერძნული, არც ინგლისური ენები. ყველაზედ საჭიროთ დაინახეს რომ ყმაწვილს ესწავლა წერა, კითხვა და ანგარიში, მეტადრე ანგარიში. საქმის კაცისთვის მეტი არა არის რა საჭირო: ბევრის ცოდნა მაენებელია, სხვა არა იყოს რა. ერთიც ვნახოთ ემილმა მწერლობა დაიწყოს, ეს ხომ სიკეთემდინ არ მიახწევინებს. ცოლმა ლაპარაკი დაიწყო მუზიკაზე.

— ეგ რა საჭიროა? წამოიძახა მილიონერმა დეე ფორტოპიანზე ქალებმა დაუკრან. ეგ იმათი საქმეა. ძაცისთვის კი... სასაცილოა. უბრალო დროს დაკარგვა იქნება. ბევრმა კიდეც იცის მუზიკა. მერე რა გამოდის იქიდამ? ძომპოზიტორობენ, სწერენ ოპერებს; და მერე ფულებს თითონვე აძლევენ, რომ იმათი ოპერები ითამაშონ. არა უკაცრავათ, ეგ არ შეიძლება.

— მაშ ხატვა მაინც, წარმოსთქვა ჩასუქებულმა დედამ.

— ეგ რიღასთვის?

— ხელოვნება მაინც არის...

— მერე ამ ხელოვნებით რომ მართლა სურათების ხატვა დაიწყოს, და, ჩემი შვილი მხატვარი უნდა გამოვიდეს? ბანა ამისთვის ღირდა ორმოცი წლის შრომა და მილიონების მოგროვება? ემილს უიმისოთაც ბევრი საქმეები ექნება. დეე იმან იცოდეს მხოლოდ თავისი ქონება და იმაზედ იშრომოს დილიდამ საღამომდინ; დეე დაეჩვიოს, რომ ერთი შეხედვით შეეძლოს გარჩევა, რომელი საქმე უფრო სასარგებლოა, რომელი უსარგებლო; იმან უნდა შეიძინოს ისეთი კაცის სახელი, რომ საქმე თითონვე უვარდებოდეს ხელში; რომ მას შეჰტრფიალებდენ მხოლოდ იმის სახელისთვის, რომ მას სხვანი უნაწილებდენ სარგებელს, მარტო იმის სახელისთვის.

ბონეპანსი შეჰხაროდა თავის შვილს და აღტაცებით ადევნებდა თვალს მის განვითარებას, მხოლოდ ერთხელ წაჰკრა მამამ კისერში, ეს მაშინ, როცა ყმაწვილმა ვეღარ გაუძლო გულის მოძრაობას და გროშა მიაწოდა ბლახას.

ბონეპანსი თავის შვილს კვირაში თხუთმეტ ფრანკს აძლევდა, რომ შეეძულებინა მისთვის ქალალდის თამაშობა მაშინვე ისევ უგებდა ათას ნაირის ეშმაკობით. რამდენიმე თვის განმავლობაში ემილი კვირაობით იღებდა თხუთმეტ ფრანკს და ორშაბათს ისევ სრულიად აგებდა. ბოლოს მოსწყინდა მიღება და ძლევა ამ თხუთმეტი ფრანკისა, რომლის დახარჯვა არ შეეძლო და ყმაწვილმა გამოუცხადა, რომ აღარ სურს ბრძოლა მწვანე მინდორზედ. მამამ ხვეწნა დაუწყო, შვილმა გამოიჩინა ხასიათი და უარი უთხრა.

ბონეპანს ნორმონდიაში დიდი მამული ჰქონდა. ემილმა იცოდა რა ღირდა დღიური მიწა, გასაყიდი იყო თუ იჯარით გასაცემი, ემილი თერთმეტი წლისა იყო, როცა იმ მამულიდამ იმათ მოჰგვარეს ერთი თეთრი, უმანკო შეხედულობის ბატკანი. ბატკანი ხელებს ულოკავდათ, როდესაც უალერსებდენ.

— რა მშვენიერობაა, სთქვა დედამ.

— ჰო, უპასუხა ემილმა,—კარგი ბატკანია. ყასაბი ორმოც, ორმოცდა ხუთ ფრანკს მისცემს.

ემილი ოცდა ხუთი წლისა გახდა. ის იყო მარდი, ლონიერი, კარგათ ხმარობდა ხმალს, მშვენიერათ

ისროდა ტამბაჩებს, მამამ შეატყობინა მას ყველა საიდუმლოება ბანკისა. შიმისოთ საქმეს აღარ იჭერდა.

— ემილ, უთხრა ერთხელ მამამ,—ეხლა დროა ცოლი შეირთო, ყმაწვილი კაცი დაიღრიჯა.

— ბეშინიან, რომ ცოლი შეირთო? ეგ არაფერია. ბევრი, ბევრი ექვსი კვარა, ორ თვეს შესწუხდები. მერე ისევ ძველებურათ იცხოვრებ, უფრო თავისუფალიც იქნები. ძალს ას ორმოცდა-ათი-ათასი თუმანი აქვს მზითვათ. ის არის ბებერი ავაზაკის, ტრიპენტულას ქალი.

— ბერი კაცს ცუდი ხმები აქვს დავარდნილი.

— ეგ არაფერი ის დიდი ხანი ველარ იცოცხლებს.

— მაშ საქმე გათავებულია, მალე ნიშნობაც გვექნება. მემკვიდრედ იქნებით ბერიკაკისა და თვრამეტ მილიონს მიიღებთ, ემილმა გადახედა თავის მამას. მწუხარეთ უთხრა: მამავ შენო მერმე—ორჯელ იმდენი იქნება! ბანა; მაგას რად მეუბნები არ არის რიგი.

რ. ჯაჯანაშვილი

ნარევი

სახალხო ლექსები

შეკრეფილი სიღნაღის მაზრაში მირზაანელისაგან

ქალო ღმერთმა ბედი მოქცეს,
შასარდე შენსა ქმარსა;
თავზედ გვირგვინი გეკურთხოს,
წმინდა ეკლესიის კარსა.

—

თალალმე გამათხოვებენ,
თუღულმე წამიყვანონ;
წითელ კაბას შემაკერვენ,
სიყვარში წამიყვანონ...

—

ტიდამ ჩამოდის ბულ-ბული,
ქებით ამბობს, გალობასა,
ჩაიცვი და დაისურე,
ნუ მოიშლი ქალობასა.

—

ენკენის თვე რომ დადგება,
ვენასში გორავს კალათა;
შენი მტერი ხომ არა ვარ,
შემოგივარდე ძალათ.

—

წმინდა გიორგის კარებზე,
დავაღუღუნე სტვირია;
ქალი ბევრი ვათამაშე,
მარიამი და თინია.

—

აქედანა გავიქეცი—
ლამაზ ქალსა გულზედ ვეცი,
მობრუნდა და ესე მითხრა:
„ვინ გაგზარდა მაგრე მსეცი“.

—

ორი კაცი მოდიოდა:
ერთი კოტლი, ერთი ქოსა;
საქმე რომ არა ჰქონდათ რა,
ეწოდნენ თამბაქოსა.

—

ჭარალო დიდის ნიავო,
მე შენთვის მიტირნიან,
შენ ჩემთვის რა გატირებდა,
მე შენთვის რა მირგიან?

—

ასალი დანიშნული ვარ,
მთაზედ წამივიდა ქმარი;
შიმშილმა რომ შემაწუსა,
ეზოებში ვგრიფე მსალი.

—

ეთერიანთ ქალი ვიყავ,
ჯეთერიანთ პატარძალი;
ჯორის საქმენელად წავედ,
ხელში დავიჭირე ტარი.
ვენასების ბოლოს ჩავედ,
იქ დამისვდა რუსის ჯარი.
ერთმა რუსმა დამიჭირა,
თურმე იყო ეფიცარი.

ახალი ამბები

◆ დღეს დანიშნულია ჩვენი დრამატიული არტისტის ვ. ალექსიე-ვიმესხიევის ბენეფისი და იმედია საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს დღევანდელს წარმოდგენას.

◆ ოქრაბათის 17-ს თებერვალს დანიშნულია წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოების სასარგებლოთ «ბალი».

რედაქტორი და გამომცემელი ვ. ბაბაშიძე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

სურათები

ჩვენი პოეტებისა და მწერლებისა

ალექსი წერეთელი

ილია ჭავჭავაძე

გრ. ორბელიანი



გიორგი ერისთავი

ალექსანდრე ყაზბეგი

ბინებულ ალექსანდროვის ქალაქზედ
მსატვრობა ა. ბერიძისა

ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ძუკიის ხიდის ყურზე, ზუბალოვის სახლებში და ი. სოფრაკოვის ბაკალეინი მაღაზიაში, აროწრუნისეულ ქარვასლაში.

ვინც ათს ან მეტს სურათს გამოიწერს, მაშინ თითო სურათი 16 კაპ. დაეთმობა.

გაიხსნა ხონში, ფოჩტის სტანციის პირ-და-პირ

წიგნის მაღაზია წერეთლისა,

რომელშიაც ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები, რუსული და ქართული სახელმძღვანელოები და კანცელარიის ყველა საჭიროებანი. Хони. книжный магазинъ Церетели.

იბეჭდება და ჩქარა გამოვა

ოთხ-მოქმედებიანი ისტორიული დრამა

თხზ. თ. აკ. წერეთელისა

ეფამარ ცბიერი

რადგანაც ეს დრამა დაიბეჭდება ორასი ეგზემპლიარის არა უმეტეს, ამიტომ საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ამ თავიდვე ხელისმოწერის მსურველს შეუძლიან მიჰმართოს «თეატრის» რედაქციას.

ფასი ათი შაური

სტამბა

მელიქიშვილისა.

თფილისში—სასახლის ქუჩ., აროწრუნისეულ ქარვასლაში, ქართული თეატრის ქვემო სართულში.

იღებს ყოველ გვარს სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს, კვიტანციებს, სიოტებს, განცხადებებს, ათიშებს, პირობებს და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევს საქმის მოქტანთ.

სტამბა კისრულობს კორექტურის გასწორებას და ბროშურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მოქცემნი ისურვებენ.

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1886 г. 8 февраля.

Типографія Меликова. Стам. Мелиქишვილისა.